

ლების პერიოდი უფრო გაგვიხანგრძლივდა, ბევრი ძალისხმევა დავხარჯეთ, დედამ მისი საყვარელი სტაფილოსფერი ქოთანიც მოიტანა ბაღში და გაბაფხულისთვის პამპერსიც გავხადეთ. რადგან სკოლაში უნდა წასულიყო დავისახეთ ისეთი მიზნებიც, როგორიც იყო: ფერების გარჩევა და დასახელება, გეომეტრიული ფიგურების გარჩევა და დასახელება, 5-მდე თვლა. ბოგი შევძელით ბოგი ვერა. არ დამიკლია მისთვის ჩემი ძალა და ენერჯია.

თუშცა ერთ-ერთ ტრენინგზე გვითხრეს, როცა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობთ, ნუ ჩათვლით რომ თქვენ განსაკუთრებით კეთილები ხართ და სიკეთეს აკეთებთო. უნდა იცოდეთ, რომ ეს თქვენი მოვალეობააო. ძალიან ბევრი ვიფიქრე ამაზე. ხან დავეთანხმე ამ აზრს, ხან არა. მაინც, მგონია, რომ მხოლოდ მოვალეობა არ არის საკმარისი, რომ გულით აკეთო ასეთი საქმე.

*ბაღის აღმზრდელი*

## ნატა, 5 წლის

როდესაც მომართვის საფუძველზე, ბაღში მივედი, პირველ რიგში გავესაუბრე მშობელს, აღმზრდელს, ფსიქოლოგს, დავაკვირდი ბავშვს ბაღის გარემოში.

ნატა უკვე ერთი წელია დადიოდა ბაღში, თუმცა, დროის ძირითად ნაწილს ატარებდა ფსიქოლოგის რესურს ოთახში, სადაც მას ერთი საათის განმავლობაში უტარდებოდა წინასწარ დაგეგმილი ინდივიდუალური მეცადინეობა, რის შემდეგაც სურვილისამებრ გადაადგილდებოდა საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე, შედიოდა დარბაზში, სხვადასხვა ჯგუფში. აპროტესტებდა საკუთარ ჯგუფში შესვლას. ბაღში ყოფნის დროს მასთან მუდმივად იმყოფებოდა დედა, თუმცა დედას უჭირდა მისი ქცევის გაკონტროლება.

ვინაიდან ნატას უჭირდა ჯგუფის გარემოში აქტივობებში ჩართვა, აპროტესტებდა ჯგუფში შესვლას, სასურველი იყო, ჯგუფში ადაპტაციისთვის საბავშვო ბაღში მისი ყოფნის ხანგრძლივობა დასაწყისში (ორი კვირის განმავლობაში) შეგვემცინებინა. სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა დაიგეგმა მისთვის სასურველი ჯგუფური აქტივობებით, რომელთა განმკვიცვებაც საშუალებას მოგვცემდა ეტაპობრივად გაგვეზარდა ჯგუფში ყოფნის დრო.

წინასწარ დაგეგმეთ აქტივობები, რომლებსაც ერთი საათის განმავლობაში შევთავაზებდით ნატას, ასევე წინასწარ შეუთანხმეთ მშობელს ბავშვის ბაღში მოსვლის და წასვლის დრო და მუშაობის გეგმა.

რადგანაც ნატას მოსწონს რესურს ოთახში ყოფნა, სასურველი იყო დაგეგმილიყო პირველი 15-20 წუთით ჯგუფური თამაში ბავშვთა მცირე ჯგუფში (4-5 ბავშვი), რომელიც ჯერის, რიგის დაცვასთან იქნებოდა დაკავშირებული, რათა ბავშვი იმპულსის შეკავებას, თამაშის წესების დაცვას მიჩვეოდა.

რესურს ოთახში თამაშის შემდეგ ბავშვებს ვუბნებით, რომ მიდიან ჯგუფში, სხვა ბავშვებთან ერთად ჯგუფში ასვლას ნატა ნაკლებად აპროტესტებს. თანაც რესურს ოთახში ვიზუალური ცხრილით წინასწარ ვაჩვენებდით ჯგუფში ჩასატარებელ აქტივობებს.

აღმზრდელთან ერთად, წინასწარ დავგეგმეთ ჯგუფში ჩასატარებელი, ნატასთვის სასურველი აქტივობები (ბურთის გავრეზა, ძერწვა) თითოეული 15-20 წუთის ხანგრძლივობით.

დარჩენილი დრო ჯგუფის წევრებთან ერთად ეთმობოდა დარბაზის აქტივობებს, რომლის დასრულების შემდეგ ნატა სახლში მიდიოდა.

ნელ-ნელა ნატა მიეჩვია კოვბით/ ჩანგლით საკვების ჭამას, ის მიხვდა, რიგში დგომას მაგარებლობანას, ბურთით თამაშის დროს. ამ დროისთვის მისი ბაღში ყოფნის დრო 2 საათამდე გაიზარდა.

მალე მის სასწავლო მიზნებს კატეგორიზაცია და რამდენიმე ფერის ცნობაც დაემატა.

სასწავლო წლის დასასრულს ნატა უკვე 4 საათი რჩებოდა ჯგუფში. ამ დროის უმეტეს ნაწილს ნატა ჯგუფში ატარებდა, თუმცა ბაღის სპეციალური განათლების პედაგოგი მასთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ თამაშებს ატარებდა რესურს ოთახში. ის ნატას აჩვენებდა ბაღის დღის რეჟიმს (ვიზუალური დღის რეჟიმის გამოყენებით), რათა აღსაზრდელს სცოდნოდა აქტივობების თანმიმდევრობა. გარდა ამისა, რესურს ოთახში მუშაობა მიმდინარეობდა ქცევის წესების გაცნობასა და სასურველი ქმედებების ათვისებაზე. ნატა ეცნობოდა ემოციებს, რაც ეხმარებოდა მას გაეგო, როდის წყინთ, როდის ბრაზდებიან, როდის არიან ბედნიერი ადამიანები და რა იწვევს ამ ემოციებს მათში.

წლის ბოლოს ნატა დილის შეხვედრაზე იჯდა თანატოლებთან ერთად, უსმენდა აღმზრდელს და ვიზუალური მასალის დახმარებით აღიქვამდა თემას, ისწავლა თანატოლებთან თამაში, ნივთების განაწილება/თხროვნა, მათთან ერთად აქტივობების განხორციელება, იცავდა ჯგუფის წესებს, შეეძლო შეესრულებინა მოკლე ინსტრუქციები დავალებები უფროსების მითითებების ფონზე. ჩაერთო ცეკვისა და მუსიკის აქტივობებში, იდგა რიგში, ცდილობდა ვარჯიშების გამეორებას, უსმენდა მუსიკის მასწავლებელს და იჩენდა სურვილს ჩართული ყოფილიყო ასეთი სახის აქტივობებში. სამომავლოდ, დავგეგმილია მასთან მუშაობის გაგრძელება, მისი ბაღში ყოფნის დროის გახანგრძლივებისა და სკოლისათვის მოსამზადებლად.

*პორტიჯის მულტიდისციპლინური გუნდის წევრი*

## ნიმო, 4 ნლის

ჩვენს ბაღში უკვე მეორე წელია დადის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი დიაგნოზით მიკროცეფალია, ეპილეფსია. მიუხედავად იმისა რომ ბავშვი ჩვენამდე ერთი წელი დადიოდა სხვა ბაღში შეჩვევის პერიოდი მისთვის მაინც რთული აღმოჩნდა, რადგან ავლენდა პრობლემურ ქცევებს: ყვიროდა, კბენდა ბავშვებს, არ უნდოდა ჯგუფში გაჩერება და კარებისკენ ვარბოდა. ვერ მეტყველებდა, არ ასრულებდა ინსტრუქციას. თავდაპირველად, ბავშვების უმრავლესობა ვარბოდა მასთან თამაშს. იყო პრობლემები სხვა ბავშვების მშობლებთანაც, მათ არ უნდოდათ ნინო ყოფილიყო მათ შვილებთან ჯგუფში. იყო პრობლემები აღმზრდელებთანაც. ისინი ფიქრობდნენ, რომ ნინოს ჯგუფში სჭირდებოდა ერთი ადამიანი სისტემატიურად. აღნიშნავდნენ, რომ მთელი ჯგუფის აქტივობებს ვერ მორგებდნენ ნინოსთვის განკუთვნილ აქტივობას. მე კი ვცდილობდი ამეხსნა მათთვის, რომ ნინოს აქტივობა უნდა მორგებოდა დანარჩენი ბავშვებისთვის დაგეგმილ აქტივობებს. ჩემთვის როგორც ბაღის სპეციალური განათლების პედაგოგისათვის, ცხადი გახდა, რომ უნდა ყველა ამ მიმართულებით უნდა მემუშავა.

პირველ შეხვედრაზე, როდესაც ნინოს დედა შეხვდა ბაღის აღმზრდელებს მოვიწვიეთ ბაღების დამხმარე გუნდის სპეციალიტიც, რომელმაც აღმზრდელებთან ისაუბრა იმაზე, თუ როგორ უნდა მოექცნენ ზოგადად იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე ბავშვს გულყრის შეტევა დაემართება და რა უნდა გაითვალისწინონ კონკრეტულად ნინოს შემთხვევაში.

რახან პირველ ეტაპზე ხშირად აწყობდა ტანტრუმებს, ცდილობდა ოთახიდან გასვლას და ყრიდა სათამაშოებს, გადაცწყვიტეთ მთელი დღე უწყვეტად დაკვირვებოდათ, დაკვირვებას ბაგა-ბაღების დამხმარე პორტიჯის გუნდის სპეციალისტი აწარმოებდა:

*პორტიჯის გუნდის წევრის ჩანაწერები ფონური დაკვირვებიდან*

**ბაღში მოსვლა** – დედას მიანიშნებს რომ არ უნდა ბაღში (აქნევს თავს) თუმცა შემოდის ჯგუფში და არ ეცირება დედას. თუ დაინახა რომ დედა პოლში დგას ალებს კარს და ვადის, უდიმის, ეკონტაქტება. უფროსის მითითებით (ხელის მოკიდებით) ისევ ბრუნდება. მას შემდეგ რაც დააფიქსირა, რომ დედა ვარეთ აღარ არის, არ აქვს ვარეთ გასვლის მცდელობა.

**საუბმე** – საუბმის დროს მასწავლებლის დახმარებით ჭამს,

როდესაც მასწავლებელი სხვა ბავშვთან მიდის დასახმარებლად, ნინო ცდილობს თვითონ განავრძოს ჭამა. მასწავლებელი წუხს, რომ ნინოს გამო, სხვა ბავშვებს ვერ ეხმარება (თუმცა დამკვირვებელი ხედავს, რომ ჯგუფის ბავშვების უმრავლესობას შეუძლია წახალისებით, დამოუკიდებლად ჭამა). საუბრის დასრულების შემდეგ, ნინო უყურებს სხვა ბავშვებს, შემდეგ დაიწყო ყვირილი. მასწავლებელმა გადმოიყვანა ხალიჩაზე და მისცა სათამაშო ყუთი. ნინო დგება და იწყებს თამაშს. მისი დანახვისას სხვა ბავშვებიც წამოდგნენ მაგიდებიდან და მიდიან მისკენ სათამაშოდ. აღმზრდელი წუხს, რომ ყველას არ დაუსრულებია საუბრე და როგორ აუხსნას ბავშვებს, რომ მხოლოდ ნინოსთვის შეიძლება თამაში. (დამკვირვებელი ხედავს, რომ მაგიდებიდან ბავშვების ის ნაწილი წამოდგა, ვისაც საუბრე დასრულებული ჰქონდა და ელოდებოდნენ სხვების დასრულებას). მალევე აღმზრდელსა და თანამშემწეს ბავშვების მუსიკის აქტივობაზე მიყავს. ნინო აღმზრდელს ხელიაკიდებული მიყვება.

**მუსიკა და მოძრაობა** – თანამშემწე ამბობს, რომ სათამაშოები არეული დარჩა ოთახში და დარბაზში ასვლისთანავე ბრუნდება უკან, ჯგუფის დასალაგებლად. წუხს აღმზრდელიც, რომ სულ ნინოს გვერდით უნდა იყოს, რის გამოც ქურნალი ვერ შეავსო და ბრუნდება ჯგუფში. ბავშვებთან ცეკვის მასწავლებელი და სპეციალური განათლების პედაგოგი რჩება, რომელიც ახლახანს შემოვიდა ოთახში. მუსიკის ჩართვის და მოძრაობის დაწყებისთანავე ნინო დგება მასწავლებლის წინ და უყურებს მას, ცდილობს გაიმეოროს მოძრაობები პედაგოგის დახმარებით. ისეთ მოძრაობებს კი როგორცაა ტაძის დაკვრა და ხტუნვა დანახვისთანავე ასრულებს. (ასე ვრძელდება 15 წთ).

**ზღაპრის კითხვა** – ჯგუფში ჩასვლისას აღმზრდელი სვამს ბავშვებს სკამებზე, თვითონაც ჯდება და იწყებს კომბლეს კითხვას. თანამშემწეს მიაქვს ბოთლები წყლის გამოსაცვლელად. ნინო მასწავლებლის მითითებით დაჯდა სკამზე თუმცა სწრაფადვე (5-7 წამი) ადგა და დაიწყო ჯგუფში სიარული. ჯგუფში ხმაურია. აღმზრდელი აგრძელებს კითხვას მთელ ჯგუფთან. სპეციალური პედაგოგის დახმარებით ნინო დაჯდა მოძორებით მაგიდასთან და დაიწყო ერთად პირამიდის აწყობა. ცოტა ხანში, აღმზრდელის თხოვნით, სპეციალური პედაგოგი აგრძელებს კომბლეს მოყვლას, აღმზრდელი თვითონ ვადის ჯგუფიდან. ნინო სპეციალური პედაგოგის მითითებით დაჯდა წინა რიგში. სპეციალურ პედაგოგს ზღაპრის მოყვლისას ხშირად აქვს ბავშვთან მშვერთი კონტაქტი.

ასევე დგება ფეხზე, მოძრაობს და ექსტ-მიმიკის გამოყენებით ყველა ბლაპარსს. ჯგუფში სიჩუმეა და ბავშვები მას უსმენენ. ნინო მის და თვალს ადევნებს ბლაპარის მოყოლის პროცესს, რამდენჯერმე ჰქონდა მცდელობა წამოდგომის, სპეციალური პედაგოგი მიდის ახლოს და ხელით ანიშნებს რომ დაჯდეს, თხრობის შეწყვეტის გარეშე. ნინო ჯდება ბავშვებთან ერთად.

**თავისუფალი თამაში** – ჯგუფში ბავშვები თამაშობენ სურვილისამებრ. აღმზრდელი და თანამემწე დოკუმენტაციის მოწესრიგებით არინ დაკავებული. ნინო თამაშობს მარტო ბავშვების გარემოცვაში (6-7 წთ) შემდეგ დგება და გადის გვერდით სხვა ჯგუფში. სპეც. პედაგოგს შემოყავს და ხელით აჩვენებს რომ არ შეიძლება, ნინო მიდის ისევ კარისკენ. პედაგოგი მოწყენილი სახით მიუთითებს ისევ, რომ არ შეიძლება. ბავშვი იწყებს სათამაშოების გადმოყრას მაგიდიდან. უფროსის მითითების პროცესში ჩერდება უყურებს, იღიმის და ისევ ყრის. უფროსი ანებებს თავს და ბურვით დგება მასთან (იგნორირების სტრატეგიას იყენებს) ნინო 1-2 წამის შემდეგ წყვეტს სათამაშოების გადმოყრას, მიდის ოთახის სხვა კუთხეში ჯდება და იწყებს თამაშს. 10-12 წუთის შემდეგ წამოდგა და დაიწყო სიარული, სპეც. პედაგოგი მივიდა, ჩაისვა კალთაში და დაიწყო ბლაპარის მოყოლა ნინო უყურებს სახეზე. ბლაპარის მოყოლის შემდეგ ისევ ერთობა დამოუკიდებლად რამდენიმე წთ. შემდეგ ისევ მიდის და აქვს მცდელობა გვერდით ოთახში გასვლის. უფროსი კიდებს ხელს და ბავშვებთან ერთად ხელების დასაბანად შეყავს. გამოსვლის შემდეგ მიდის ფანჯარასთან, სადაც პედაგოგი მის, ადის ფანჯარაზე და აქვს გადმოხტომის მცდელობა, თან უყურებს პედაგოგს ღიმილით. მასწავლებელმა თავდაპირველად არ მიაქცია ყურადღება თუმცა შემდეგ უსაფრთხოების მიზნით ჩამოსვა. ნინო მაშინვე ავიდა ხელმეორედ, მასწავლებელმა ისევ ჩამოსვა და არ მისცა საშუალება ასულიყო. ბავშვი ვაწვა იტაკზე, დაიწყო კვილი. პედაგოგმა გაიყვანა ჯგუფიდან. ისევ განაგრძობდა კვილოს და ჰქონდა კბენის მცდელობა. სხვა უფროსმა სცადა ყურადღების გადატანა, აიყვანა ხელში და გაასეირნა. მუსიკის დარბაზში სხვა ბავშვების მოძრაობის პროცესში ჩაერთო. შემდეგ მასწავლებელმა ჩაისვა და უყურებდა მას სახეზე სიმღერის პროცესში.

დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა რომ, ქცევის პრობლემები არ ვლინდება როცა ნ. დაკავებულია მისთვის საინტერესო აქტივობებით, უქმად ყოფნის დროს ყურადღების მიქცევის მიზნით მიმართავს ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემურ ქცევებს. ბავშვს განსაკუთრებით მოსწონს მუსიკა და მოძრაობა; დგას, უყურებს

მასწავლებელს, მარტივ მოძრაობებს იმეორებს. ასევე, შეუძლია კუბურებით და სხვა სათამაშო მასალით დამოუკიდებლად თამაში. ცდილობს დამოუკიდებლად ჭამას, მოსწონს მონათხრობის მოსმენა, როცა ექსტ-მიმიკას იყენებს უფროსი. შეუძლია „ჯერ.. მერე..“ პრინციპით დავალების შესრულება.

დამხმარე გუნდის სპეციალისტის რეკომენდაციებით ნინოსთან მუშაობის სტრატეგია ამ დაკვირვების შედეგებზე ავაგეთ: ვცდილობდით ჯგუფში წავგვხებოდა იმისა ყველა ბავშვის დამოუკიდებლად ჭამის პროცესი; ნინოს საშუალებას ვაძლევდით ნახევრად მშრალი საკვები დამოუკიდებლად ეჭამა, მხოლოდ წუნიახის ჭამის დროს ვეხმარებოდით ხელის ხელზე მოკიდებით. რადგან მისი ძლიერი მხარე იყო მიბაძვა, სხვა ბავშვებზე დაკვირვებით ნელ-ნელა დამოუკიდებლად ჭამა დაიწყო. საჭმლის დასრულების შემდეგ როგორც მას, ასევე სხვა ბავშვებს, რომლებმაც ჭამა დაასრულეს ვაძლევდით სათამაშოდ გადასვლის უფლებას.

გლაპრის წავითხვის ან სხვა აქტივობების დროს, როცა ბავშვები წრეზე სხდებიან ან მაგიდებთან, ნინოსთვის ვიყენებდი თვალსაჩინო მასალა. ასევე, ხშირად მივდიოდით მასთან ახლოს, მშენებით კონტაქტის დასამყარებლად. როდესაც ემოციურად, ექსტ-მიმიკის გამოყენებით ვსაუბრობდით ან წიგნს ვკითხულობდით, არ უჩნდება ადგომის და სხვა საქმით დაკავების სურვილი.

რადგან ნინოს 10-12 წუთის განმავლობაში შეეძლო დამოუკიდებლად თამაში, ვიდრე მობეზრდებოდა და პრობლემურ ქცევას გამოავლენდა, მასთან მივდიოდით ვინტერესდებოდით, რას აკეთებს, ვუღიმიოდით და სხვა თამაშს ვთავაზობდით.

ამ სტრატეგიების გამოყენებით, ერთობლივი შრომითა და ჯგუფის აღმშრდელების ძალისხმევით წარმატებებს მივაღწიეთ.

დირექტორის მონაწილეობით ვისაუბრეთ მშობლებთან. ნინოს ჯგუფის ოთახში ხშირად შევდიოდი და სხვადასხვა აქტივობების დროს ნინოს სხვადასხვა ბავშვებთან ერთად ყოფნას ვახალისებდი. წელს ბავშვები მის მიმართ ძალიან დიდ მზრუნველობას იჩენენ. თვითონ აძლევენ ინსტრუქციას, როგორ შეასრულოს ნინომ ესა თუ ის დავალება. მოკიდებენ ხელს და მიჰყავთ რომელიმე ცენტრში სათამაშოდ. ძალიან უყვართ და უხარიათ მასთან ურთიერთობა. ნინოც ძალიან უჯერებს მათ და ბედნიერია.

ბაღის სპეციალური განათლების პედაგოგი

## ანდრო, 5 წლის

ანდრო საბავშვო ბაღში წელს პირველად მოვიდა. ბავშვი არ არის ჩართული სხვა რაიმე განმავითარებელ პროგრამაში. დედამ მოსვლისთანავე უთხრა დირექტორს ბავშვის პრობლემის შესახებ. მან რამდენიმე აღმზრდელი შეგვეკრიბა, რომ გადაგვეწყვიტა რომელი ჯგუფში შეგვეყვანა ბავშვი. რატომღაც ინიციატივა გამოვიჩინე, რომ ბავშვი ჩემთან მოხვედრილიყო.

შემოვიდა თუ არა ჯგუფში ყველაფერი გადმოყარა, ყველა თაროსთან მივიდა, ხელს კიდებდა ყველა სათამაშოს, დახედავდა და დაბლა ყრიდა, შემდეგ ზედა თაროებით დაინტერესდა, სკამი დაიდო და ისე უნდოდა მიწვდომოდა, რამდენჯერმე შევეცადე წინააღმდეგობა გამეწია, ვუბნებოდი არ აელო, რეაქცია არ ჰქონდა. ზოგი ისეთი სათამაშო იყო რომ მარტივად გატყდებოდა ამიტომ ვცადე ხელიდან გამომეცალა. ამაზე დაიწყო ყვირილი, იქვე მყოფი ყუთები ერთიანად აატრიალა და ყველა სათამაშო დაბლა დაყარა. ჩამოვიღე ყველაფერი, ვფიქრობდი იქნებ რამით დაინტერესებულყო, მაგრამ არა. ერთს დახედავდა და იქვე მიაგდებდა, გადადიოდა შემდეგზე და ასე გაუთავებლად. ბოლოს კართან მივიდა და სახელური ჩამოწია მაგრამ სწრაფად მივედი და კარი ჩაკექცე. დაიწყო ტირილი და ცდილობდა კარის გაღებას. მე იქვე ვიდექი და არ ვაძლევდი გარეთ გასვლის საშუალებას. დაიწყო ფეხების რტყმა კარზე და კიდევ უფრო ხმამაღლა ტირილი, რა არ ვცადე, მახსოვდა დედის ნათქვამი მანქანებით თამაშობს ხშირად და კუბიკებითო. ყველა მანქანა შევთავაზე, მაგრამ არც უყურებდა, ან თუ შეხედავდა უკან მესროდა. კართან რომ ვერაფერს გახდა მერე ჩემზე გადმოვიდა, და ხელზე მიკბინა. არ მშვიდდებოდა, ყველა სათამაშო მივუტანე რაც კი ირგვლივ იყო. ბოლოს გადავწყვიტე გამესეირნებინა, ასე ვიარეთ ჯგუფიდან ჯგუფში, ეზოში და ბოლოს დედას დავურეკეთ, რომ ბავშვი წაყვანა. დედას ვთხოვე, მეორე დღეს ჩვენთან ერთად დარჩენილიყო ჯგუფში.

დირექტორმა კი მომართვა ვაგზავნა ბაღების სააგენტოში, რომ მულტიდისციპლინური ჯგუფის სპეციალისტისგან მიგველო რეკომენდაციები.



...

მეორე დღეს დედამ შემოიყვანა ჯგუფში და სახლიდან მოტანილი კუბიკებით თამაში დაიწყო, აწყობდნენ კოშკს, მერე ისევ შლიდნენ და ა.შ. როგორც კი ამ თამაშით გაერთო, დედას ყურადღებას არ აქცევდა და დედაც გავიდა ოთახიდან. ანდრომ თამაში გააგრძელა, გავიდა 4-5 წუთი. შემდეგ წამოწვა ხალიჩაზე, გორაობდა, მაგრამ კმაყოფილი ვიყავი, რომ არ ტიროდა და რამდენიმე მანქანაც მივუტანე. ამასობაში ბავშვების გადავიდნენ ხალიჩაზე სათამაშოდ. როგორც კი მიუახლოვდნენ, ადგა და დაიწყო ოთახში სიარული. იმ სივრცეში მოძრაობდა, სადაც არავინ იყო. უცებ კარი გაიღო და თანაშემწე შემოვიდა. არ ვიცი დედა გაახსენდა თუ რა მოხდა, გაიქცა კარისკენ. ხელი მოვკიდე და უკან დაბრუნება ვთხოვე, მაგრამ იატაკზე გაწვა, დაიწყო ტირილი და ცდილობდა გარეთ გასვლას. მე კართან დავდექი, რომ არ გასულიყო. წამოდგა და საკბენად გამოიწია. ამასობაში სპეციალისტს, რომელიც ბავშვს აკვირდებოდა ვუთხარი, რომ უკვე რამდენჯერმე მიკბინა. მან მითხრა, რომ როცა ბავშვი ასე იქცევა ხელი გაითავისუფლეთ და უთხარით, რომ შეწყვიტოსო. შემდეგ კი თუ ისევ აგრძელებს დაიჭირეთ, ისე რომ კბენა ვერ შეძლოსო. ასეც ვცადეთ, რადგან სხვანაირად თავს არ მანებებდა. მაგრამ გარეთ გასვლას ისევ ითხოვდა. გადავწყვიტე გარეთ გამეყვანა. მაგრამ სპეციალისტმა მითხრა, რომ თუ ახლა გავასეირნებთ, მერე ყოველთვის შეიძლება გასეირნება ასეთი ფორმით მოეთხოვა. „ჯობია მიხვდეს, რომ გარეთ გასვლა ახლა არ შეიძლება და მით უფრო ასეთი საქციელითო“. ძალიან ხმამაღლა დაიწყო ყვირილი და ბავშვების გაოგნებული სახე რომ დავინახეთ, ვიფიქრეთ არ იქნებოდა კარგი ასეთ მდგომარეობაში ანდროსთვის ეყურებინათ. ამიტომ მეორე ოთახში ვეცადეთ გაგვეყვანა, და როცა დამშვიდდებოდა უკან გამოსვლის საშუალება მიგვეცა. იქ ავიდა ფანჯრებზე საოცარი სისწრაფით და რაც იქ იყო ყველაფერი ვადმოყარა. თუმცა, როცა დამშვიდდა, გამოსვლის საშუალება მივეცი. გარეთ გასვლას აღარ ითხოვდა, ისევ ვადმოყარა სათამაშოები (რომელიც ჩვენი გასვლისას ბავშვებს და თანაშემწეს დაელაგებინათ). შემდეგ სათამაშო სახლთან მივიდა, ვიცოდი როგორც კი შეეხებოდა დაიშლებოდა ის სახლი და ველარასოდეს ავაწყობდი, ამიტომ არ მინდოდა აეღო და სკამზე ასული უკან დავაბრუნე. ვერაფერს გაუხდი რამდენჯერ დავაბრუნე ისევ ავიდა. სახლი, რომელიც ძალიან მენანებოდა დასაშლელად, ფრთხილად ჩამოვიღე და მოშორებით მაგიდაზე დავუდე. ანდრო გაიქცა და სწრაფად აიღო. ჩემდა გასაკვირად, ფრთხილად წაიღო

ხალიჩაზე, ფრთხილად დადო და დაიწყო თამაში. დამკვირვებელი მიუახლოვდა და რამდენიმე დეტალი, რომელიც ამოუვარდა თამაშის დროს ჩაუსვა, არ გააპროტესტა მისი მიახლოვება. ხელით მოსინჯა კუბები რამდენად მყარად იყო ჩასმული და კმაყოფილი დარჩა. სხვა დეტალები, ჩასმის ნაცვლად, ხელში მიაწოდა დამკვირვებელმა, მანაც სწრაფად გამოართვა და ეცადა თვითონ ჩაესვა. გაუჭირდა, ამიტომ უფროსმა ხელი ხელზე დაადო და მყარად ჩაასმევინა. დავინახე, რომ ამითაც კმაყოფილი დარჩა.

დღეს მივხვდი რომ სათამაშო მხოლოდ თაროსთვის არ არსებობს და ის რაც ჯგუფშია ბავშვებისთვისაა, ის კი რაც ბავშვებისთვის არ არის, ჯგუფშიც არ უნდა იდოს.

მეორე დღეს ისევ მოვიდა დამხმარე სპეციალისტი, რომელმაც ცოტა განსხვავებული მეთოდით სცადა მასთან კომუნიკაცია.

ანდრო შემოვიდა თუ არა თაროებთან მივიდა და დაიწყო სათამაშოების თვალყურება; მიდიოდა ერთ სათამაშოსთან, იღებდა დახედავდა და ძირს აგდებდა. მე ვეუბნებოდი, რომ აელაგებინა, მაგრამ ყურადღებას არ მაქცევდა. შემდეგ სათამაშო მიქსერზე შეაჩერა ყურადღება და ყვირილით გვანიშნა რომ უნდოდა. სათამაშო დამხმარე სპეციალისტმა ჩამოიღო და რამოდენიმეჯერ წარმოთქვა სიტყვა „მომე“, გაჩერდა და დაელოდა ანდროს რეაქციას, ისევ გაიმეორა „მომე“. თავდაპირველად ანდრო ისევ ყვირილით ცდილობდა სათამაშოს მოპოვებას, მაგრამ მე-3 ჯერზე მისვდა, რას ითხოვდნენ მისგან და მიბაძვით წარმოთქვა სიტყვა „მომე“, რის შემდეგაც სასურველი სათამაშო მიიღო. ვიდრე ანდროს მიქსერით თამაში მოებზრდებოდა და შეწყვეტდა, დამკვირვებელმა მას გამოართვა მიქსერი, ანდრო მის წინ დადგა და წარმოთქვა „მომე“. მაგრამ ამჯერად უფროსმა მოსთხოვა მის მიერ იატაკზე დაყრილი კუბიკების ყუთში ჩაყრა, მოკიდა ხელზე ხელი და რამოდენიმე კუბიკის ჩაყრაში დაეხმარა, ანდრომ პროტესტით განავრძო კუბიკების ყუთში ჩაყრა, მაგრამ შემდეგ სწრაფად ყრიდა რომ სასურველი საგანი მიეღო, როგორც კი დაასრულა, სასურველი სათამაშო მაშინვე მიიღო. მსგავსი მოქმედება რამოდენიმეჯერ განმეორდა, სასურველი საგნის მიღების ნაცვლად ანდრო მიბაძვით ასრულებდა მარტივ, ერთსაფეხურიან ინსტრუქციებს.

...

ამის შემდეგ შევიკრიბეთ ყველანი დედასთან ერთად, მომცეს რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც უნდა მეშუაავა, დამეხმარებოდა ბალის ფსიქოლოგი და თუ საჭირო ვახდებოდა, ისევ მივმართავდით იმ სპეციალისტს, ვინც ეს რეკომენდაციები მომაწოდა.

### **რეკომენდაციები:**

- პირველ რიგში აუცილებელია შედგეს ანდროს ბაღში ყოფნის რუტინა; გარკვეული აქტივობების თანმიმდევრობა რომელიც ყოველ ჯერზე გამეორდება.
- ასევე აუცილებელია დაგეგმილი აქტივობების ვიზუალური განრიგის გაკეთება. რადგან ანდროს შეუძლია სასურველის მიღების პირობით შეასრულოს სხვადასხვა აქტივობები, ამიტომ აუცილებელია იცოდეს, რა აქტივობების შესრულება მოუწევს, ვიდრე სასურველს მიიღებს
- მისთვის ყველაზე სასურველი განმამტკიცებელი ამ ეტაპზე არის გარეთ გასვლა, ამიტომ აუცილებელია ანდრომ იცოდეს რომ 3-4 აქტივობის შემდეგ გარეთ გავა.
- ანდროს ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და ბალის რესურსიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შესაძლებელია 40 წუთი, მაქსიმუმ ერთი საათი დაუგეგმოს ბალის ჯგუფში. სასურველია ამ დროის ორ ნაწილად გაყოფა: დაახლებით 3-4 აქტივობის შესრულების შემდეგ რაც დაახლებით 20-25 წუთის ჯგუფში გატარებას გულისხმობს, ანდრო გაასეირნეთ გარეთ - დაახლებით 5 წუთი გაერთოს ეზოში არსებული საქანელებით და შემდეგ ისევ ჯგუფში დაბრუნდეს, სადაც დაახლებით 20-25 წუთი ისევ ჩაერთვება ჯგუფში მიმდინარე აქტივობებში, შემდეგ კი წავა სახლში.
- თუ ანდრო გააპროტესტებს ჯგუფში შესვლას, ან ჯგუფში შესვლის შემდეგ ისევ ექნება გარეთ გასვლის მცდელობა, გადაკეტეთ კარი და აუხსენით, მას შემდეგ გავა გარეთ, როცა ვიზუალურ განრიგზე ნაჩვენებ აქტივობებს შეასრულებს.
- მას შემდეგ რაც ნახავთ, რომ ბავშვი ერთ საათს მშვიდად ატარებს ბაღში თანადათან აქტივობების ჩამონათალი გაზარდეთ, თუმცა აუცილებელია წინასწარ აჩვენოთ/აუხსნათ

ნებისმიერი ცვლილება და იგივე პრინციპით (ვიზუალური განრიგით) განაგძოთ მუშაობა.

- აუცილებელია ამ დროის განმავლობაში აღმზრდელის თანაშემწის აქტიური ჩართულობა, რომ ანდროს ბაღში ყოფნის დროს ყურადღება არ მოაკლდეს ბავშვებს და ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდეს პროცესი.
- სასურველია, ბავშვი ჩაერთოს ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამაში, რისთვისაც ოჯახმა უნდა მიმართოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

იმ ერთი საათის განმავლობაში, როცა ანდრო ბაღში უნდა ყოფილიყო, გავანაწილეთ როლები, მე ჩემმა თანაშემწემ და ბაღის ფსიქოლოგმა. გადავწყვიტეთ ძირითადად მე ვყოფილიყავი ანდროსთან, რადგან ჩემი ინსტრუქციების შესრულება შეძლებოდა. ამ დროის განმავლობაში ჯგუფურ აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყო თანაშემწე, ხოლო მაშინ, როცა ანდროს ბაღში ყოფნა საუზმეს ემთხვეოდა გვეხმარებოდა ბაღის ფსიქოლოგიც.

ბაღის ფსიქოლოგმა და პორტიჯის სპეციალისტმა ასევე მიჩიეს, რომ დროდადრო, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, ჩანაწერები მეწარმოებინა, ეს დამეხმარებოდა ყოველდღიული პრობლემის თუ შედეგის დანახვაში და შემდეგი დღისთვის მომზადებაში. მე წერა არ მიყვარს, მით უმეტეს ამისი დრო ბაღში არ არის, მაგრამ თუ ეს მუშაობას გამომარტივებდა, გადავწყვიტე „დღიური“ გამეკეთებინა.

## **ჩანაწერებიდან**

27.03.2014

*ანდრო მოვიდა 10:40 წუთზე. ცოტა გაღიზიანებული იყო, მალევე მოითხოვა გარეთ გასვლა. ვუთხარი „არა“ და დაიწყო მისთვის საინტერესოს ძებნა. ხის კუბები გადმოყარა და 2 წუთში მიანება თავი. მე ვეცადე ისე მოვქცეულიყავი, როგორც ფსიქოლოგი და*

ვანიძე, რომ უნდა ჩაელაგებინა. მცირედ გააპროტესტა, თუმცა სწრაფადვე ჩაალაგა. ფერადი კუბები გამოვიტანე, და 15 წუთი ვითამაშეთ „ანდრო, აი, ლურჯი“ მან გაიმეორა „ლურჯი“; ანდრო „სახლი ავაშენოთ“ გაიმეორა „სახლი“. კარს ვახედა, ვიფიქრე, რომ გასვლას მოითხოვდა და დავიწყეთ ბზრიალი, ეს მას ძალიან მოწონდა. იცინა. მერე ვისტუნეთ და ტაშს ვუკრავდით.

დღეს ბავშვებთან ახლოსაც მივიდა, მათთან ახლოს ხალიჩაზე დაწვა. და ბოლოს ბალიშებითაც ვითამაშეთ, მე ვესროდი, ის მიბრუნებდა.

დღევანდელი დღით კმაყოფილი ვარ ☺

28.03.2014

მოვიდა თუ არა, ჩამოუარა სათამაშოების თაროებს, შედარებით უინტერესოდ. მე ისევ შევთავაზე გუშინდელი ფერადი კუბები, რამდენიმე წუთი გაერთო და წავიდა კარისკენ. ისევ დავაბზრიალე რამდეჯერმე, მერე ვიკოტრიალეთ, ამით კმაყოფილი დარჩა.

დღეს განსაკუთრებული შედეგი გვაქვს ჩემი კოცნა არ გააპროტესტა. აქამდე არ მაფერებინებდა.“

03.04.2014

შემოვიდა თუ არა მაშინვე ბავშვებთან მივიდა, შემოურბინა მაგიდეებს, სადაც საუშობდნენ ბავშვები. მშვიდად გამოიყურებოდა. მე ბალიშები ვესროლე და უკან დამიბრუნა, თან გაიცინა, ამ თამაშში პური მივაწოდე და მიირთვა. აქამდე არასოდეს უჭამია. გამოვიტანე ისევ კუბები, რომელიც მას მოწონდა, ვითამაშეთ 10 წთ და ჩემი მითითებით ჩაალაგა. შემდეგ ჩამოვიღეთ სათამაშო სარეცხი მანქანა, კარგა ხანს გაერთო დამოუკიდებლად. რომ ვიგრძენი უკვე მობეზრდა, ყურადღება ბზრიალზე გადავუტანე, შემდეგ დიდი კუბები შევთავაზე, რასაც ადრე არ უყურებდა. ვითამაშეთ რამდენიმე წუთი. შემდეგ კეგლისკენ გაიქცა, მაგრამ არ მივეცი ამის საშუალება, მივუთითე რომ ჯერ კუბები უნდა ჩაელაგებინა, ვაჩვენე ეს და სწრაფადვე მიუჩინა ყველას კუთვნილი ადგილი. შემდეგ მივეცი კეგლი და ბურთები. კეგლები დავალაგე და ბურთი გავავლორე, მიყურა და იგივე გაიმეორა. ამ თამაშში ვიყავით, დედა რომ მოვიდა, ვიდრე წავიდოდა კეგლიც დაალაგა უპროტესტოდ. დღეს კმაყოფილი დავრჩით მეც და ანდროც ☺

04.04.2014

დღეს ანდრო მამამ მოიყვანა. შემოიარა ჯგუფი, გამოვიდა მერე ჩემთან და დაიწყო ძებნა. შევთავაზე კარაქიანი პური, აილო და ერთი ლუკმის მერე მიატოვა. მივიდა კონსტრუირების ცენტრთან და გამოვიღეთ კეგლი, მაგრამ არ დაიწყო თამაში. ვაიქცა კუბებთან. მე არ მივეცი საშუალება, ვიდრე არ ჩაალაგებდა კეგლებს, გააპროტესტა, მაგრამ ჩაალაგა. არც კუბებით გაერთო ჩვეულად, სწრაფად შეწყვიტა, არც ბზნიალზე გამოხატა ინტერესი. შემდეგ დაინტერესდა გათბობის გაყვანილობით და 10 წუთი მაინც აკვირდებოდა ნახვრეტს, სადაც მიღები ჩადის პირველ სართულზე, იქედან ხმები ესმოდა და დიდი ინტერესით იყურებოდა ქვემოთ. დედის შემოსვლაც არ დაუფიქსირებია, როცა მან კარისკენ წაიყვანა, ხელი ჩამკიდა და არ მიყვებოდა, მე ჩავყევი ეზოში, ცოტა ვისრიალეთ და ამის შემდეგ წავიდა სახლში. მიუხედავად იმისა რომ ყველა ჩემი დავალება შეასრულა დღეს კმაყოფილი არ ვარ, გაღიზიანებული იყო ☹

07.04.2014

დღეს მშვიდად მოვიდა ანდრო ბაღში, შემოიბრინა, შემოუარა ბავშვებს და ჩვეულად კუბებთან მივიდა. გამოვალაგეთ და ვითამაშეთ, შემდეგ დავალაგეთ და ვიდრე კეგლზე გადავიდოდა დიდი წიგნი შევთავაზე, სადაც თითს ვადებდით გამოსახულებებს და ვასახელებდით – „ჩიტი“ ანდრო იმეორებდა „ჩიტი“ კარგა ხანს გაერთო, მერე ითამაშა კეგლით და მანქანით. ამ დროს მე ბავშვებთან ერთად ვარჯიში დავიწყე, ვუთხარი თანამემწეს, რომ ანდროც მოეყვანა. მოვკიდე ხელი და ვცადეთ ერთად იგივეს გამეორება. დღეს პირველად ივარჯიშა ჩვენთან ერთად.“

14.04.2014

ჩემს მიერ შეთავაზებული თამაშები ვითამაშეთ, ახალი დღეს მოზაიკა შემოვიტანეთ, რამდენიმე წუთი ჩემი დახმარებით ითამაშა“

ბაღის აღმზრდელი



